

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
WWW.opentext.ge/menora

# მენორა

სამეარო სამ საურდენზე დგას: თორაზე, ღ-თის სამსახურსა და ქველმოქმედებაზე **შირაში ავოტი**

გერაული გავითი	„מנורה“	„МЕНОРА“
საქართვილოში	עיתון יהודי	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
MENORA	בגוריה	В ГРУЗИИ
JEWISH NEWSPAPER		
IN GEORGIA		

დამამბერი  
(ქისლავი)  
1-15  
№23 (239)  
(5767 ჟილი)  
2006 ჟილი  
შასი 50 თმთრი

# מנורה

18 დეკემბერს 15.30 წუთზე გაიმართება თბილისის ორი ქუჩისათვის შეესაღებულ და ვით შეესაღებულ და შეესაღებულ სოლომონ ბრძენის სახელების მინიჭებისადმი დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალი. ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოებრიობა იკრიბება შეესაღებულ ადამრთზე სასტუმრო „ძველ შეესაღებულ“.

## წელს ხანუქა უპრეცედენტო მასშტაბით აღინიშნება



საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულყოფილებიანი ელჩის, შაბთაი ცურის განცხადებით, წელს ხანუქა თბილისში უპრეცედენტო მასშტაბით აღინიშნება. საზეიმო ღონისძიება 18 დეკემბერს 17:00 სთ-ზე, თბილისის დიდ ებრაულ სალოცავთან გაიმართება.

ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტრადიციისამებრ, ხანუქის სახელოს საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ანთებს.

წლებანდელი დღესასწაულისთვის პირველად საქართველოს ისტორიაში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ბადრი პატარკაციშვილის თაოსნობითა და ისრაელის საელჩოს ეგიდით, თბილისის დიდი ებრაული სალოცავის წინ, დაიდგმება საგანგებოდ ისრაელიდან ჩამოტანნილ იერუსალიმის ქვაში გამოკვეთილი 10 ტონიანი ხანუქა.

ისრაელის ელჩის ინფორმაციით, მონუმენტის გახსნას და საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხანუქის სახელოს ანთებას, ისევე, როგორც ქუჩების სახელოს დარქმევასთან დაკავშირებულ ცერემონიალს დაესწრება ათასობით სტუმარი, მათ შორის ცნობილი ებრაელი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს მთავრობის წევრები, საპატო სტუმრები ისრაელიდან, დიპლომატიური კორპუსი. ღონისძიება გაშუქდება ისრაელის ტელევიზიით და მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელობა იხილავს.

### საქართველოში ისრაელის საელჩოს პრეს-რელიზი


### ისრაელელი ოფთალმოლოგები

### საქართველოში ოფთალმოლოგებს ატარებენ

გრძელდება ისრაელელი ოფთალმოლოგების ჰუმანიტარული აქცია საქართველოში. უკვე გაკეთდა კატარაქტის უფასო ოპერაციები თბილისში, ქუთაისსა და ვანში, რის შედეგადაც მხედველობა დაუბრუნდა რამდენიმე ათეულ უსინათლო ადამიანს.

აქცია საქართველოში ისრაელის საელჩოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და პარლამენტის თავმჯდომარის, ქ-ნი ნინო ბურჯანაძის ინიციატივით ტარდება და 11 დეკემბრამდე გაგრძელდება.

საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულყოფილებიანი ელჩის, შაბთაი ცურის განცხადებით, ასეთ აქციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის. მისივე თქმით, ისრაელელი ოფთალმოლოგების ვიზიტის შედეგად ორი ქვეყნის მედიკოსებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩამოყალიბდება, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ისრაელელი ექიმების ვიზიტები საქართველოში რეგულარულ ხასიათს მიიღებს.





# ფიქრი, მხოლოდ ფიქრი

## გურამ ბათიაშვილი

დღეს კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრის ძველ ახალ სპექტაკლზე „ურიელ აოსტა“ რეცენზიის წერა შეუსაბამობაა – ეს სპექტაკლი დრომ შეაფასა, ლამის მთელმა საუკუნემ თქვა თავისი სათქმელი ამ სპექტაკლზე

„ურიელ აოსტას“ ფენომენი მომდევნო თაობების ქართველთა შეხსენებს, იყვნენ დი-რსეული მეკვიდრენი და შემფასებლნი იმისა, რასაც წინა თაობების დიდი ქართველნი მათთვის ქმნიდნენ. შეხსენებს, თუ სად არის მათი ძირები, რა კატეგორიებით აზროვნებდა ქართული რეჟისურა, რა სამსახიბო სკოლა გვქონდა საქართველოში – საიდან მოდის და საით უნდა ვიდოდნენ.

დღეს ამ სპექტაკლმა ის ფუნქციაც შეიძინა, რაზეც ალბათ, მის შემქმნელს არც უფიქრა – დასვაბნოს დრო, დადგეს დროის მიღმა: თუ სამხედრო სტრატეგია იპყრობს სივრცეს, კოტე მარჯანიშვილი და მისი დარი შემოქმედნი იპყრობენ დროს და არა ვგონებ, სამხედრო სტრატეგიის მონაპოვარი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე შემოქმედისა, რადგან სივრცეში არსებობით (სივრცის მოძვრებით) თუ სამხედრო პირი ჩინებულ სტრატეგიულ ნიჭს აკლენს, შემოქმედი თავისი ერის დროში არსებობას – მარადიულობას, მისი შემოქმედებითი აზროვნების სიდიადეს ადასტურებს.

კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრში „ურიელ აოსტას“ ცქერისას ერთი ფიქრი მდევდა თან: რა მიმართებაა ეს სპექტაკლი დროსთან, ეს ლამის 80 წლის სპექტაკლი იკითხება თუ არა თანამედროვე თეატრალური ყოფის კონტექსტში და თუ იკითხება, სად დგას იგი, სად არის მისი ადგილი. გარდა ასაყისა, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ამ 80 წლის განმავლობაში ეს სპექტაკლი სხვადასხვა, რამდენიმე ეპოქაში არსებობდა ე.ი. სრულიად განსხვავებული კულტურული ფასეულობების მატარებელი, გემოვნების, მსოფლგანცდის მაცურებლის თვალწინ თამაშდებოდა.

კოტე მარჯანიშვილი „ურიელ აოსტას“ დადგმა 1929 წლის თებერვალში განახორციელა. ეს სპექტაკლი თბილისიდან გაქვებულმა თუ ლტოლვილმა, კონფლიქტების შედეგად აყრილმა დიდმა შემოქმედებმა ქუთაისში წარმოადგინეს.

დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უბედნიერესი ჟამი ქართული თეატრალური აზროვნებისა – კოტე მარჯანიშვილი, პეტრე ოცხელმა, ვერაციო ანჯაფარიძემ, უშანგი ჩხეიძემ ამ სპექტაკლით ქართული შემოქმედებითი აზრის ცხოველყოფილობა გამოაბრწყინეს.

ისიც შეიძლება დღეს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სპექტაკლში მთავარ როლებს დიდი ქართველი მსახიობები თამაშობდნენ – ვერაციო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე. დიდებულ შემოქმედთა გუნდი ერთ რიტმზე სუნთქავს, ერთად, ერთი მიმართულებით უშერს და აფასებს სამყაროს რაობას, იმისკენ ილტვიან, რასაც მერე, მოგვიანებით თანამოაზრეთა თეატრს დაარქმევენ. თეატრში თანამოაზრეობის რაობა მანამდეც იცოდნენ, მაგრამ ასე მგონია, მანამდე – „ურიელ აოსტამდე“ ქართულ თეატრში თანამოაზრეთა თეატრის მადლი ასე ცხოვლად არ გამოჩენილა.

იდეები ჰერმში მოძრაობდა, სუნთქავდა. მასზე ლაპარაკობდნენ. გაჩნდა სპექტაკლი და თანამოაზრეთა თეატრის იდეაც დამკვიდრდა.

„ურიელ აოსტა“ აზრი, იდეა დიდ მხატვრულ ფაქტად აქცია. ყველაფერი ეს იყო 1929 წელს – სტალინის მიხედვით აფრება, საბჭოეთში გულაგების აგება იწყებოდა, სათავეს იღებდა ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. მაშინ ადამიანები ალბათ არ მიიჩნევდნენ, რომ კოლექტივიზაცია მთელი ქვეყნის გულაგთაგან იყო – საშინელება მხოლოდ ის ვგონათ, საიდანაც გორა მბორგალები გამოდებოდნენ, კოლექტივიზაცია კი პროგრესის გზად ესახებოდა.

ამ ეპოქაში საქართველოში იბადება სპექტაკლი „ურიელ აოსტა“ – რეფორმატორი იუდეველი ჰაბუკისა და მდიდარი მოვაჭრის მშენიერი ქალწულის ტრაგიული სიყვარული ამბავი. კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის იდეებით თავგამოტყენილი ადამიანები თეატრში ჭეშმარიტ კათარზისს განიცდიან და თეატრს ტანჯვით ესოდენ ბედნიერნი ტოვებენ.

გამოხდა ხანი და 1962 წელს ვერაციო ანჯაფარიძემ „ურიელ აოსტა“ ადადგინა. აქ მთავარ როლებს ვერაციო და პიერ კობახიძე თამაშობენ.

1962 წლის მაცურებელი რადიკალურად განსხვავდება 1929 წლის მაცურებლისაგან. მან უარი თქვა იდეებისადმი ბრმა ერთგულებაზე, ირონიულად იხსენებს კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, თუმც ინდუსტრიალიზაციის მეოხებით კოსმოსს მიეჭრა, გამოიარა 1956 წელი, როცა ხელისუფლება ზარბაზნებს უშენს თავის მოქალაქეებს, გადაურჩა მეორე მსოფლიო ომის ჯოჯოხეთს და მანც დღეს კ. მარჯანიშვილის თეატრში მოსული კვლავ გულათრილობით აღეცნებს თვალს ურიელის ბრძოლას იმასთან, რასაც იგი ვერაფრით, ვერასოდეს ვერ დაამარცხებდა – ათეიზმის იდეებით გატაცებული მაცურებელი თანაუგრძნობს რაბინებთან მებრძოლ ურიელს და წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, რომ ურიელი ვერასოდეს დაამარცხებს იმას, რის დამარცხებასაც ლამობს – ერის ერთგულებას წინაპართა ტრადიციებისადმი, მის რელიგიურ სწრაფვას. ურიელი თუდაიზმს ებრძვის, იმას, რამაც ებრაელი ერი შემოინახა, გადარჩინა და შემდეგ სამშობლო აღადგენინა. თუდაიზმში, რწმენისადმი ერთგულება იყო ის, რასაც ჰენრიჰ ჰაინე მ „ჯიბის საშობლო“ უწოდა. ტრადიციისადმი ერთგულებას ურიელ აოსტა ისევე ვერ დაამარცხებდა, როგორც ვაჟა-ფშაველას გმირები მთის ადათ-წესებს, მაგრამ ივლითისა და ურიელის ტრაგიული სიყვარული ფარავს რელიგიურ ურთიერთობათა, ტრადიციისადმი ერთგულების თემას.

ბრონემატარებლების, ორთქვალების, კომუნისტთა იდეოლოგიური ბრძოლების ათასგზის მნახველი საბჭოთა მაცურებელი გაოგნებული, რეტდასხმული ისმენს ვერაციო-ივლითის ნერვიულ შეძახილს; „ის მოდის, მოდის“, შესცქერის პეტრე ოცხელის მიერ შექმნილ უჩვეულო გარემოს, „უცნაურ“ სავარძელზე წნელივით გადახრილ სხეულს, ურიელისა და ივლითის ტანჯვით იტანჯება და კვლავ ბედნიერი გამოდის თეატრიდან. მისი ბედნიერება იქ იღებს სათავეს, რასაც არისტოტელე კათარზისს უწოდებდა და რასაც უმთავრესად მიიჩნევდა ხელოვნებაში.

ათი წლის შემდეგ, კოტე მარჯანიშვილის 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისმა მოწაფეებმა თეატრს გულმოდგულად გაცლილი რეჟისორი კვლავ ამ სცენას დაუბრუნეს – ვერაციომ ადადგინა „ურიელი“. აქ უკვე სოფო ჭიაურელი და კოტე მახარაძე თამაშობენ მთავარ როლებს. 70-იანი წლების მაცურებელი რადიკალურად განსხვავდება არა მხოლოდ იმ მაცურებლისაგან, რომლისთვისაც „ურიელი“ 1929 წელს დაიდგა, ათი წლის წინანდელი მაცურებლისაგანაც – საბჭოთა ხელისუფლების რაობაში ათი წლის წინათაც იყვნენ დაეჭვებული, მაგრამ ახლა დარბაზში უფრო „გაუმძაყებელი“ – ხელისუფლებასთან მეგობრობის და ამ გზით მისგან რაიმეს გამორჩენის მსურველი ადამიანები სხედან. უცხოეთის რადიოხმები მათს შემეცნებას ცვლის. ისინი შესანიშნავად დაეუფლნენ თამაშის წესს – ჩინებულად ატარებენ მორჩილი საბჭოელის ნიდაბს, სინამდვილეში კი სხვა ყოფაზე ოცნებობენ.

მაგრამ „ურიელ აოსტას“ შემოქმედების ძალა კვლავ იგივეა. ადამიანები მოხიბლულნი, დატყვევებულნი შესცქერაან სცენას, მათთვის ერთობ უჩვეულო სამყაროს, მიზანსცენებს, რომლის მსგავსსაც თეატრალურ ცხოვრებაში არ მოსწრებიან, მათს სმენაში დიდხანს ხშიანებს ურიელისა და ივლითის ინტონაცია, „უცნაურად“ წარმოთქმული ფრაზა.

და იგი კვლავ ბედნიერი ტოვებს დარბაზს.



ივლითი – ნატო მურვანიძე, ურიელი – ნიკა თავაძე

ტრიალებს წუთისოფელი. წუთისოფლის ავანსცენაზე სხვა პერსონაჟები გამოდინან – 1991 წელს სოფო ჭიაურელი ადადგინს „ურიელს“. მთავარ გმირებს ზურაბ სტურუა და ნატო მურვანიძე თამაშობენ. ეს იყო აბურდული, მრისხანე 1991 წელი. მუშები დადუმდნენ, ტყვია მშვიერი მტკილივით დაძრწოდა გრძელი ლამის წყვილადმი შთანთქმულ ქალაქში და...

როცა მაცურებელი უფრო უბედურია, როცა მაცურებლის თავს უფრო დიდი ტრადიციის ტრიალებს, ვიდრე რეფორმატორი იუდეველისა და მასზე უზომოდ შეყვარებული ქალწულის ტანჯვაა, თეატრი სულს დაფავს. ეს პერიოდი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აცრემლებული გიგა ლორთქიფანიძის იერსახით უფრო შემორჩა მესხიერებას, ვიდრე ურიელისა და ივლითის უღებლო სიყვარულით. ქართული თეატრის დღე – 14 იანვარი ამ სცენაზე აღინიშნებოდა. გიგა ლორთქიფანიძე კი იმ ტრაგიულ ყოფაზე ლაპარაკობდა, რომელიც თბილისის ქუჩებში სუფევდა.

სცენაზე კათარზისი არ შედგა, რადგან თბილისის ქუჩებში მძა მძას მოსაკლავად დასდევდა. ყოფა ათასგზის უფრო ტრაგიული იყო, ვიდრე კ. გუცკოვის პიესის მიხედვით შექმნილი სამყარო კ. მარჯანიშვილისა.

თუმცადა ის ფაქტი, რომ ამ დიდი გამყინვარების ხანაშიც მოისურვეს მაცურებელთან სიყვარულზე ესაუბრათ, თავისთავად ქართული თეატრის ოპტიმისტურ სულისკვეთებაზე მეტყველებს.

და აი, ამ შემოდგომაზე კვლავ ახალი რეალობის წინაშე დადგეჭით: სოფო ჭიაურელი იხევ ადადგინა „ურიელ აოსტა“.

სპექტაკლი ძველია, რეალობა სრულიად ახალი და აი, რატომ: დღეს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. თეატრს ახალი თაობის ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში. სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. წულაძე არა მხოლოდ ბიოლოგიურად გახლავთ ახალგაზრდა, ამ თეატრის ხელმძღვანელობის შემოქმედებითი უფლება სწორედ ახალი თეატრალური გამოშახველობითი საშუალებების ძიებაში მიანიჭა.

მკითხველს „ურიელის“ ხელახლა დაბადების ფონი – ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ერთი სამარცხვინო ტენდენცია

(დასასრული იხ. მე-8 გვ.)



სცენა სპექტაკლიდან





# ისრაელის პროფესიული კავშირების ფელაქსია თბილისში



ინგლისურ ენებზე სიმღერები შეასრულეს: პროგრამა „მახალ ტოვის“ პატარა აღსაზრდელმა სოფიო რთველიაშვილმა (პედაგოგი ნინო ბილანიშვილი), კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებულმა ანსამბლმა „კინორმა“ (ვოკალი ვილი გრიგორიანი), ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ლუხაიში“ – ხელმძღვანელი ჟანეტა შამილაძე და მარია მირველაშვილი.

დახვედრითა და კონცერტით კმაყოფილმა სტუმარმა სიტყვის თქმა ითხოვა:

– ძალიან აღელვებული ვარ. დენისმა თქვენზე ბევრი რამ მიაძმო, მაგრამ ის, რაც გუშინ მოვისმინე და დღეს ვნახე, ერთმანეთისგან განსხვავდება. საოცარი გრძობა და ძეგული თქვენთან ყოფნით. დიდი ხნის – 40 წლის წინათ ბაბუა სინაგოგის რაობაზე მიამბობდა. მისი სიტყვები ყველანაირად დღეს გავიგე. ყველაფრის საწყისი კი არის:

უბრა.

– ბატონი არიელ, გვიამბეთ თქვენი საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე.

– ჩვენ, საქართველოს პროფკავშირებმა, თავის ყრილობაზე მოგვიწვია. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა საერთაშორისო დელეგაცია. ჩვენი საქართველოს პროფკავშირებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგანაც ისრაელში ბევრი საქართველოდან გამოსული ებრაელი ცხოვრობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ისინი.

ჩვენ საქართველოში პირველად ვართ. ისრაელის პროფკავშირები ძალიან ძლიერია. მას შეიძლება ითქვას, სახელმწიფოზეც კი აქვს გავლენა. პირობების მოთხოვნის მიზნით შეგვიძლია მოვაწყოთ გაფიცვები, გადაკეტოთ გზები. სამწუხაროა, რომ საქართველოს პროფკავშირები არ

ძღვები.

– საქართველოში ყოფნის პერიოდში რა მოინახულეთ?

– საქმიანი შეხვედრა გვექონდა გურჯაანში, მოინახულეთ საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა – ის ადგილები, სადაც პირველად დასახლდნენ ებრაელები. მოინახულეთ აგრეთვე წმინდა ადგილები. სიწმინდეები, რომელიც მნიშვნელოვანია ქართველებისთვისაც და ებრაელებისთვისაც. აღფრთოვანებული ვარ ქართული სტუმართმოყვარეობით, ისრაელის ქნესეთის დეპუტატი და ისრაელში ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი ლიდერი აბრამ მისხელი ჩვენი მეგობარია. საქართველოში გამოგზავრება მღ გვესაუბრა საქართველოს შესახებ. მან არაჩვეულებრივად დაგვიხასიათა საქართველო, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

საქართველოს პროფესიული კავშირების მე-VIII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში რამდენიმე სახელმწიფოს პროფკავშირულ მოღვაწეთა დელეგაცია ჩამოვიდა. სტუმართა შორის გახლდნენ ისრაელის წარმომადგენლები.

ისრაელელ სტუმრები: პროფკავშირების (პისთადრუთის) თავმჯდომარის პირველი მოადგილე არიელ იაკობი და პროფკავშირის რუსულენოვანი სექტორის პრეს-მდივანი სვეტლანა ალექსანდრეა. ისინი დაესწრნენ ვარდების რევოლუციის სამი წლისთავსადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. ხოლო 26 ნოემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლს ესტუმრნენ. მათ მასპინძლობას საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე დენის დავითაშვილი უწევდა.



– ყოველი ებრაელი ვალდებულია ზრუნავდეს სხვა ებრაელზე“. ჩვენთან მიღებულ გამოთქმას: „მომავალ წელს იერუსალიმში“, მე ასე ვიტყვი: სანამ თქვენ აქ ხართ, ჩვენ თქვენს საყრდენს ვიჭებთ. მადლობა მინდა მოგახსენო ბნ რეზოს და ქნ ზაირას. ისრაელში დაბრუნებული, დღევანდელ განცდებს ყველას მოვუთხოვ. არაჩვეულებრივი ხალხი ხართ.

ებრაულ სახლში მოსულ სტუმრებს გავესაუბრეთ. ბატონი არიელ იაკობი ჩამოსვლის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე გვესა-

არის ასეთი ძლიერი, მაგრამ ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, ჩვენ საქართველოს პროფკავშირებთან ვაპირებთ თანამშრომლობას. იმედი მაქვს ვიპოვებ ბევრ საერთოს და გამოცდილებებსაც გაუცვლით ერთმანეთს.

ჩვენთვის, ცნობილი გახდა, რომ საქართველოში ძალიან დაბალი ხელფასებია, რომლით ცხოვრებაც საკმაოდ რთულია. პროფკავშირების მიზანი ამ პრობლემის მოგვარებაა.

ისრაელის პროფკავშირები მთელ რიგ სხვა პრობლემებთან ერთად ზრუნავს პენსიონერებზეც. ჩვენი ამოცანა იმ პირებზე ზრუნვაა, ვინც მრავალი წლის მანძილზე მსახურობდა. ჩვენ არ უნდა ვაგრძობინოთ მათ, რომ ისინი უკვე საჭირონი აღარ არიან.

ჩვენი მიზანია საქართველოს პროფკავშირებთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირები დაეამყაროთ.

ჩვენი პროფკავშირების თავმჯდომარე ოფერ ეინი, საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარის – ირაკლი პეტრიაშვილის მეგობარია. ორი ქვეყნის პროფკავშირების ურთიერთობა აგებულია სახელმწიფოებრივ და მეგობრულ ურთიერთობებზე. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ ისრაელში საქართველოდან ჩამოვლენ. ვფიქრობ, საქართველოსგან ბევრი რამის შესწავლა შესა-

ორი კვირის წინ ისრაელს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრობდა. მას, ჩვენ ქნესეთში შევხვდით. მიხარია, რომ ორი ქვეყნის, საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა მაღალ დონეზეა. იმედი მაქვს, პროფკავშირებს შორის ურთიერთობაც მაღალი დონის იქნება.

მინდა დავამატო, რომ, საქართველო ულამაზესი მხარეა, გამორჩეული ბუნებით და ხალხით, საქართველოში ძალიან ლამაზი ქალბატონები ცხოვრობენ.

### ინფორმაცია



## შენსავლის სურვილით



დავით ბოთერაშვილი მუშაობს წიგნზე: „კულაში და საქართველოს ებრაელობა“. ამ წიგნისთვის მასალების მოსაკლევად ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა და ესაუბრა ებრაული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს: ანზორ ბალუაშვილს, შაბთაი ცერს,

შალვა ქოსაშვილს, ასევე ნატო კვანტალიანს, ქართველ მეცნიერებს: გურამ ლორთქიფანიძეს, გივი ღამბაშიძეს და სხვებს.

ბნი დავითი ამბობს: – მრავალი ისტორიული მასალა გამოქვეყნდა ქართველ ებრაელობაზე პრესაში, წიგნებში, მაგრამ მასალების ძიება კვლავ უნდა გაგრძელდეს. მე ეს მასალები მოვიძიე და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოგზაურობა საქართველოში ნაყოფიერი იყო, მეცნიერთა დახმარებით

დღემდე გამოუქვეყნებელ მასალებს მივაკვლიე.

კითხვაზე თუ როგორ მოიძია ბნმა დავითმა მოკლე დროში აქამდე გამოუქვეყნებელი მასალები, ასე გვიპასუხა:

– ვიცოდი ვისთან და სად უნდა მივსულიყავი, ვფიქრობ, საინტერესო მასალებს მივაკვლიე ქართველ ებრაელებზე, კულაშზე, მიქელაძეებსა და კულაშში მცხოვრებ მოღვაწეებზე.

იგი ასევე თანამშრომლობს კულაშში სამეცნიერო ჯგუფთან, რომელსაც არქეოლოგი გივი ღამბაშიძე ხელმძღვანელობს. სამეცნიერო ჯგუფის მიზანია კულაშის საფლავების მდგომარეობის გაუმჯობესება. დავით ბოთერაშვილი ბაბუის – საქართველოს ებრაელთა დიდი რაბინის ზაზამ არონ ბოთერაშვილის საფლავს დაექებს. რაბინი 1949 წელს გარდაიცვალა, პროფესორი გივი ღამბაშიძე ამბობს, რომ ექსპედიცია ყველა ღონეს

იხმარს რაბი არონის საფლავის მოსაძებნად.

– ეს დიდ სიხარულს მოუტანს კულაშში დან ისრაელში ამოსულ ებრაელობას – ამბობს დ. ბოთერაშვილი.

### ინფორმაცია



რას ვპიიხულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

# ვ ა ი უ ღ ა ს



კვირის საკითხავი თავი „ვაიშლახ“ მოგვითხრობს იაკობის ლავანისაგან მშობლიურ სახლში დაბრუნების შესახებ. გზაში იაკობს ძმასთან – ესავთან შეხვედრა ელის. ის შემფოთებულია ამ შეხვედრის გამო. 20 წელზე მეტი ხნის წინათ ხომ ესავი მის მოკვლას აპირებდა. ესავის ყოველგვარ მოქმედებაში ჩანს, რომ მას არ გადაუფიქრებია ამის

გაკეთება. იაკობი ესავთან მზვერავებს უშვებს. ისინი აფრთხილებენ იაკობს, რომ ესავი მის შასახვედრად მოდის 400 მზღებელთან ერთად. გასაგებია, რომ ისინი არ არიან „დედიკოს ბიჭები“ და რომ ესავი ძმასთან შესახვედრად ტყუილად არ წამოიყვანდა ასეთ დამხმარე ძალას.

სწორედ ამიტომ იაკობი ძმასთან შესახვედრად მზადებისას სამ საქმეს აკეთებს: ღოცულობს, უგზავნის ძმას საჩუქრებს და საომრად ემზადება.

ჩვენი ბრძენები ამბობენ, რომ თორაში აღწერილი ჩვენი დიდი მამების ქმედებანი მაგალითად უნდა გამოვიყენოთ. საფრთხის შემთხვევაში უნდა შევედროთ გამჩენს და უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ამასთან არ შეიძლება გულზე დაკრეფილები ვისხედოთ და ველოდოთ ზეციურ დახმარებას, თუკი შეგვიძლია ჩვენს გადასარჩენად რაიმეს გაკეთება. იაკობი ძმას საჩუქარს უგზავნის იმისათვის, რომ გული მოუღბოს. მას ხომ არა მარტო იმის ეშინია, რომ ძმა მოკლავს, არამედ იმისაც, რომ თავად არ მოკლას იგი. ებრაული ტრადი-

ციის თანახმად ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. მაშინაც კი, როცა ქალაქს ალყას შემოვარტყამთ, არ შეიძლება იერიშის დაწყება იქამდე, მანამ მტერს დაზავებას არ შევთავაზებთ. ებრაელები ყოველთვის მზად არიან მშვიდობისათვის დიდი მსხვერპლის გასაღებად. ამასთან, თუ მშვიდობის დამყარება არ გამოგვდის, საომრად უნდა მოვემზადოთ.

იაკობი თავის ბანაკს ორ ნაწილად ყოფს, იმისათვის, რომ მეორე რაზმი პირველის წარუმატებლობის შემთხვევაში თავშესაფრად გამოიყენონ. იაკობის მოქმედება გვასწავლის ძალზე მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ წესს – არ შეიძლება ყველაფრის ერთ ადგილას თავმოყრა. ოვადია, დედოფალ იზაბელის მეფობის პერიოდში 100 წინასწარმეტყველს ორ გამოქვაბულში მალავდა, რადგანაც ერთის გამოაშკარავების შემთხვევაში მეორეში დამალული ხალხი გადარჩენილიყო.

იგივე წესი გამოიყენება ფულის დახრების საქმეშიც. არ ღირს მთელი ფულის ერთ საქმეში ჩადება. წარუმატებლობის ფაქტორის გათვალისწინებით ფულის ერთი ნაწილი უნდა დავაბანდოთ ერთ საქმეში, მეორე – მეორეში, მესამე ნაწილი კი სახლში უნდა დავიტოვოთ.

იაკობი გადარჩება ესავთან შეხვედრის შემდეგ. ასევე ამარცხებს ის ესავის ანგელოზს. ამის შემდეგ მას არქმევენ ახალ სახელს – ისრაელი (ანგელოზთან მეტრძოლი და მისი დამმარცხებელი).



## ს ე მ კ - ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი



სემკ-ს ურთიერთობა აქვს მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებთან. მსოფლიო ებრაულ კონგრესთან (პრეზიდენტი ჩარლზ ბროფმანი), მსოფლიოს ებრაულ პარლამენტართა ფორუმიან იერუსალიმში (პრეზიდენტი – ლორდ გრევილ ჯანერი), ბუხარელ ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან (პრეზიდენტი ლევ ლევაევი), ევრაზიის მსოფლიო კონგრესთან (პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი), სეფარდ ებრაელთა მსოფლიო ფედერაციასთან (პრეზიდენტი ნისიმ გაონი), ებრაულ მეცენატთა მსოფლიო კონგრესთან (პრეზიდენტი – ედგარ ალტშულერი), რუსულენოვანი თემების ებრაულ კონგრესთან, „სონსუთან“, „ხაბადთან“, „ჯონითთან“, ამერიკის ებრაულ კომიტეტთან, კონგრესს მჭიდრო კავშირი აქვს ისრაელის სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან. ამ ურთიერთობაზე საუბარი კალენდრის მე-3 გვერდზე.

ლწლიურ სტიპენდიას იღებს.

კონგრესი სპორტის დიდი გულშემოტკივარია. იგი მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს ქართველ ებრაელ სპორტსმენებს, სწორედ ამის თაობაზე საუბარი კალენდრის მე-7 გვერდზე.

მას მოსდევს გვერდები მეცნიერებაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე. კალენდარში წარმოდგენილი არიან ის ქალბატონები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ქართველ ებრაელთა სულიერ თუ საზოგადო ცხოვრებაში, კონგრესი მათ დიდ დახმარებას უწევს. 2004 წ. ჩატარდა საინტერესო კონფერენცია თემაზე: „ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში“, ამას გარდა ისრაელის სხვადასხვა ქალაქებში, კონგრესის ფი-

ლიალებში მათი სისტემატური შეხვედრები ტარდება.

სემკ-ს განყოფილებები მუშაობს საქართველოში, რუსეთში (მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში), აშშ-ში, ბელგიაში და ავსტრიაში. ამის თაობაზე და სხვა ფილიალებსა და განყოფილებებზე ცნობას მე-11 გვერდზე მოცემული ინფორმაცია იძლევა.

კალენდარს ასრულებს გვერდი, სადაც იმ ღონისძიებების ამსახველი ფოტო-კოლაჟია წარმოდგენილი, რომელიც კონგრესს ჩაუტარებია.

კალენდრის ყდაზე კი მკითხველს შეუძლია სემკ-ის მისამართი, ვებ-საიტი და ელექტრონული ფოსტის მისამართი იხილოს.

ნილო ლოზია

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა ისრაელში გამოსცა 5767 წლის ებრაული კალენდარი (კალენდარზე ებრაული წელი გემატრიის სახითაა მოცემული). კალენდარი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, მისი გარეკანი ილუსტრირებულია ფოტოებითა და სემკ-ის ლოგოთი. კალენდარი ორენოვანია – ქართულ-ებრაული. ყველა გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სემკ-ის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა ამ მოვლენების ამსახველი ფოტოებით.

კალენდარში ყველა ებრაული დღესასწაულია აღნიშნული, არის 5 ქვეყნის (ისრაელის, საქართველოს, რუსეთის (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი), ავსტრიის, ამერიკის შაბათის სანთლის ანთების დროები. კალენდარში არ არის მოცემული კვირის საკითხავი თავები. პირველი გვერდი იხსნება სემკ-ის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის სიტყვით, აქვია მისი და სემკ-ის წევრების ფოტოები.

მეორე გვერდზე საუბარია თემის სასულიერო ცხოვრებაზე, მის მიერ სულიერ სფეროში გაწეულ დახმარებაზე.

მას მოსდევს გვერდი, რომელზეც ინფორმაციაა „მათან ბესეთერის“ სოციალურ დახმარებაზე. ფონდი ყოველწლიურად, ებრაული დღესასწაულების წინა დღეებში საქართველოდან გამოსულ ებრაელთა ხელმოკლე ოჯახებისთვის ფულად დახმარებას ანაწილებს.

მომდევნო გვერდი განათლებას ეთმობა.

მეექვსე გვერდზე ქართველი ებრაული სტუდენტების ფოტოებს ვეცნობით, კონგრესის დახმარებით ასობით ქართველი ებრაული სტუდენტი ყოვე-

## რელიგიური კალენდარი

გამოვიდა 5767 წლის კალენდარი, რომლის შემდგენელია შაბათ შოთა იაკობაშვილი.

კალენდარი ორენოვანია: ებრაულ-ქართული. პირველ გვერდზე მოცემულია ხანამ რაფაელ ელაშვილისა და ხანამ იაყაობ დავარაშვილის ფოტოები.

კალენდარში ნაჩვენებია შაბათისა და ებრაული დღესასწაულების შემობრძანებისა და გაბრძანების დრო. ამ კალენდრის ნიმუშები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, ფრანგულ და პორტუგალიურ ენებზე. აქვე მოცემულია რამდენიმე თარიღი და მონაცემი ქვეყნის გაჩენისა და ებრაელთა ისტორიიდან.

ებრაულ კალენდარში ასევე მითითებულია ყველა ებრაული დღესასწაული, ებრაელთათვის მნიშვნელოვანი თარიღები, გამოჩენილი ადამიანების დაბადების დღეები, საკვირაო ფარაშები.

ბოლო გვერდზე აღნიშნულია, რომ შაბათ შოთა იაკობაშვილის თაოსნობითა და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანადგომით ბეთ ჰამიქდაშის ქოთელ ჰამაყარავის – დასავლეთის კედელთან ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა ქართველენოვანი ებრაული წმინდა წიგნები, გვეგვან სეფერთორის შებრძანებას ქართველ ებრაელთა სახელით.

ნატო კაქსაშვილი

